თამარ ახალბედაშვილი

ბაბეშ-ბოლაის უნივერსიტეტი, რუმინეთი

კავკასიის უნივერსიტეტის ტურიზმის სკოლის მოწვეულმა ლექტორმა, თამარ ახალბედაშვილმა, 2-6 ივნისს ERASMUS+ ის აკადემიური პერსონალის მობილობის პროგრამის ფარგლებში, მონაწილეობა მიიღო გაცვლით პროგრამაში ბაბეშ-ბოლაის უნივერსიტეტში, რუმინეთში.

პროგრამის ფარგლებში, მონაწილეს შესაძლებლობა ჰქონდა, გასცნობოდა ერთი მხრივ, ბაბეშ-ბოლაის უნივერსიტეტის, ხოლო, მეორე მხრივ, ადგილობრივი პროფესორების სასწავლო მეთოდებს, ასევე გაემართა ლექციები ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტებისთვის. მიღებული გამოცდილება იყო ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი მონაწილისთვის ხანგრძლივი და უწყვეტი პროფესიული განვითარების გზაზე.

აღსანიშნია, რომ პროგრამაში მონაწილეობა მნიშვნელოვანი იყო როგორც ცოდნის გაზიარების, ასევე საერთაშორისო მასშტაბით უნივერსიტეტების პერსონალთან კავშირების დამყარების კუთხითაც. ამ ტიპის საერთაშორისო გაცვლითი პროგრამა ხელს უწყობს აკადემიური თანამშრომლობის გაღრმავებას, ახალი მეთოდების ათვისებასა და საერთაშორისო ურთიერთობების გაფართოებას.